

## ხელშეკრულება

რეგისტრაციის დილაკზე ხელის დაჭერით,  
თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით და დაეთანხმეთ  
წინამდებარე ხელშეკრულებას.

ნებისმიერი პირი, რომელსაც სურს შეიძინოს /ლიზინგისფორმით სარგებლობაში  
მიიღოს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონება და/ან შეიძინოს სააგენტოსათვის  
განსაკარგავად გადაცემული ქონება, ივაჭროს ან გამოიყენოს სხვა რაიმე მომსახურება, რომელსაც  
თავაზობს ვებგვერდი, უნდა გაეცნოს და დაეთანხმოს ხელშეკრულების პირობებს.

ვებგვერდის გამოყენებამდე, გთხოვთ დეტალურად გაეცნოთ აღნიშნულ პირობებს. რეგისტრაციის  
განხორციელების შემდეგ, თქვენ ავტომატურად მოქცევით ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში,  
რაც ნიშნავს იმას, რომ განაცხადით თანხმობა ხელშეკრულების მოქმედების თქვენზე ავტომატურად.

ხელშეკრულების პირობების გაცნობა და დადასტურება არ წარმოშობს ინტერნეტაუქციონში  
მონაწილეობის ვალდებულებას.

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ საქაროსამართლის იურიდიული პირი  
„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში – სააგენტო) და  
ნებისმიერი პირი, რომელიც დარეგისტრირდება ვებგვერდზე (შემდგომში – მომხმარებელი).

### მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში, გამოყენებულ ტერმინებს და განმარტებებს აქვთ ქვემოთ  
განსაზღვრული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დოკუმენტის კონტექსტიდან სხვა რამ  
გამომდინარეობს:

ა) სააგენტო - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი საქარო სამართლის  
იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო,  
საიდენტიფიკაციო კოდი 205081249, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #4,  
რომელიც აფორმებს წინამდებარე ელექტრონულ ხელშეკრულებას.

ბ) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (პირთა გაერთიანება), რომელიც  
წინამდებარე ხელშეკრულებაზე ელექტრონული ფორმით დათანხმებით, სააგენტოსთან აფორმებს  
ელექტრონულ ხელშეკრულებას.

გ) ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (პირთა  
გაერთიანება), რომელიც ინტერნეტაუქციონზე ვაჭრობისას, დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს და  
გაიმარჯვებს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ინტერნეტაუქციონში.

დ) მხარე - სააგენტო, მომხმარებელი ან/და ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული.

ე) მხარეები - სააგენტო, მომხმარებელი ან/და ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული ერთობლივად.

ვ) ინტერნეტაუქციონი - სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“  
ელექტრონული აუქციონების სისტემის [www.eaution.ge](http://www.eaution.ge)-ს საშუალებით გამოცხადებული აუქციონი.

ზ) ინტერნეტმაღაზია - სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ელექტრონული სავაჭრო ობიექტი, სადაც ვაჭრობა წარმოებს ვებგვერდის [www.eaution.ge](http://www.eaution.ge)-ს მეშვეობით.

თ) ელექტრონული ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც მხარეებს შორის გაფორმებულია ელექტრონული ფორმით.

ი) კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

კ) ქონება - „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული და სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის“ განსაკარგავად გადაცემული ქონება.

ლ) ვებ-გვერდი [www.eaution.ge](http://www.eaution.ge) - სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ელექტრონული აუქციონების სისტემა.

მ) ზე - ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, სააგენტოს მიერ მითითებულ ანგარიშზე გადასახდელი თანხა; ზეს გადახდას უთანაბრდება ინტერნეტაუქციონში მონაწილის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა.

ნ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია - ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, ქონების პრივატიზებისას წარსადგენი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

პ) ვებ-გვერდის [www.eaution.ge](http://www.eaution.ge)-ს ერთიანი ანგარიშსწორების სისტემა -სერვისების ერთობლიობა რომლის საშუალებითაც მომხმარებელი/ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული პირი წარადგენს/იხდის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას/ზეს, ასევე, ქონების საპრივატიზებო საფასურს შემდეგი მეთოდებით:

ა) საბანკო დაწესებულებაში ნაღდი ანგარიშსწორება;

ბ) საბანკო პლასტიკური ბარათით თანხის გადახდა;

გ) პირადი ანგარიშიდან გადარიცხვა(ინტერნეტ ბანკინგი);

დ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა;

ე) გ) eMoney -ელექტრონული საფულე;

ვ) განვადება.

## **მუხლი 2 . ხელშეკრულების საგანი**

1. წინამდებარე ხელშეკრულება, ვებგვერდზე შესაბამისინფორმაციის განთავსების შედეგად, აძლევს მომხმარებელსშესაძლებლობას შეიძინოს/ლიზინგის ფორმით სარგებლობაშიმიიღოს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონებადა/ან შეიძინოს სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული მოძრავი ქონება.

2. წინამდებარე ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა უფლებამოვალეობებს, ელექტრონული აუქციონების სისტემის [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს საშუალებით, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულო პროცედურების გავლის, ელექტრონული ვაჭრობის განხორციელების, თანხის გადახდის, ქონების გადაცემის, ქონების მიღებისას და გატანისას.

3. ქონების შეძენით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ ელექტრონული აუქციონების სისტემაში [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) დარეგისტრირება, ხელშეკრულების პირობების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება ნიშნავს სააგენტოსთან წინამდებარე პირობებით ელექტრონული ხელშეკრულების გაფორმებას;

### **მუხლი 3 . რეგისტრაციის პირობები**

1. ვებგვერდზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების შემძენი/ლიზინგის ფორმით სარგებლობაში მიმღები და/ან სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების შემძენი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, სახელმწიფო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი დასაქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არის ქმედუნარიანი, სარეგისტრაციო ფორმაში ავსებს: „პირადინომრის“ (პირადობის მოწმობის 11 ნიშნა პირადი ნომერი), „გვარის“ და „სახელის“, „დაბადების თარიღის“ და „მომხმარებლის სახელის“ ველებს, რის შემდეგაც სისტემის მიერავტომატურად ხდება სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზასთან ინფორმაციის გადამოწმება. მონაცემების უტყუარობის შემთხვევაში, ხდება სქესის და იურიდიული მისამართის ველების ავტომატური შევსება. რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე ფიზიკური პირის მიერ ივსება სარეგისტრაციო ფორმის დარჩენილი ველები: „პაროლი“, „ელექტრონული ფოსტის მისამართი“ და „მობილური ტელეფონის ნომერი.“

3. იურიდიული პირი სარეგისტრაციო ფორმაში ავსებს: „საიდენტიფიკაციო ნომერს“, რის შემდეგაც სისტემის მიერავტომატურად ხდება სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემთა ბაზასთან (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრთან) ინფორმაციის გადამოწმება. მონაცემების უტყუარობის შემთხვევაში, ხდება „ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის“ და „დასახელების“ ველების ავტომატური შევსება. რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე იურიდიული პირის მიერ ივსება სარეგისტრაციო ფორმის დარჩენილი ველები: „მომხმარებლის დასახელება“, „პაროლი“, „ელექტრონული ფოსტის მისამართი“, „მობილური ტელეფონის ნომერი“ და „საბანკო რეკვიზიტები.“

4. აღნიშნულის შემდგომ მომხმარებელი „დადასტურების ელემენტის“ მეშვეობით ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულებას, ასევე აქვს სიახლეების ხელმოწერის შესაძლებლობა.

5. რეგისტრაციის დასკვნით ეტაპზე სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე სისტემა აგზავნის აქტივაციის კოდს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე ვებგვერდის ბმულს. აღნიშნული ბმულის გახნის შემდგომ, მომხმარებელი ავსებს ორ ველს: აქტივაციის კოდს და რეგისტრაციის დროს მითითებულ პაროლს. ინფორმაციის ვალიდურობის შემთხვევაში, მომხმარებელი ხდება აქტიურის სისტემაში და ამით სრულდება რეგისტრაციის პროცესი.

### **მუხლი 4. ავტორიზაცია**

ვებგვერდზე დარეგისტრირებული მომხმარებლებისათვის ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში „მომხმარებლის სახელის“ („დასახელების“) და „პაროლის“ შეყვანის გზით.

## **მუხლი 5. ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის მიღება**

1. ავტორიზაციის შემდგომ, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ინტერნეტაუქციონის გზით შეიძინოს/ლიზინგის ფორმით სარგებლობაში მიიღოს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონება და/ან შეიძინოს სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონება, კონკრეტული ლოტის შესაბამისად.
2. სააგენტო, სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის შემთხვევაში, უფლებამოსილია გადაწყვიტოს, თუ რომელი ლოტისთვის იქნება სავალდებულო ბეს გადახდა ანუპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის (მათ შორის ელექტრონული) წარდგენა/გააქტიურება, რომელიც უნდა შეადგენდეს საწყისი სარეალიზაციო საფასურის არანაკლებ 10%-ს. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს სარეალიზაციო საფასურის გადახდის ვადას.
3. სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების განკარგვის შემთხვევაში, სააგენტო განსაზღვრავს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობას, რომელიც უნდა შეადგენდეს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ს. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადას.
4. მომხმარებელმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს ინტერნეტაუქციონში, ბე უნდა გადაიხადოს ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია (მათ შორის ელექტრონული) წარადგინოს/გააქტიუროს თითოეული ლოტისთვის ცალკე.
5. ავტორიზებული მომხმარებელი ირჩევს კონკრეტულ ლოტს და სურვილის შემთხვევაში გადააქვს „კალათაში“. აღნიშნულ ლოტზე აუქციონის გვერდის გახსნის შემდგომ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინტერნეტაუქციონში მონაწილეობა. ინტერნეტაუქციონის მსვლელობის პროცესში მონაწილეთა რაოდენობა არ არის შეზღუდული. მონაწილისთვის დაფარულია დანარჩენ მონაწილეთა ვინაობა (სისტემა ავტომატურად უზრუნველყოფს მონაწილეთათვის რიგითი ნომრების მინიჭებას).
6. კონკრეტული ლოტის გვერდზე მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინფორმაციას ინტერნეტაუქციონის მიმდინარეობის (ინტერნეტაუქციონში მონაწილე მომხმარებლების რაოდენობის, მათ მიერ გაცხადებული ფასების, დროის და სხვა) შესახებ და განახორციელოს საკუთარი ფასის დადება შესაბამისი ბიჯის გათვალისწინებით.
7. მომხმარებლის მიერ ფასის დადება განიხილება, როგორც მისი თანხმობა აღნიშნული ლოტის მოცემულ ფასად შეძენის/ლიზინგის ფორმით სარგებლობაში მიღების თაობაზე. ფასის დადება შესაძლებელია შესაბამისი ბიჯის სასურველი ჯერადობით მომატების გზით. ყოველი შემდგომი „ფასის დადება“ ზრდის ლოტის ფასს.
8. ინტერნეტაუქციონში იმარჯვებს ის მომხმარებელი, რომელიც ინტერნეტაუქციონის დასრულებამდე ყველაზე ბოლო განხორციელებს ლოტზე ყველაზე მაღალი ფასის დადებას, ხოლო თუ ინტერნეტაუქციონი გამოცხადდა პირობებით, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს, ასევე მან უნდა დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.

9. ინტერნეტაუქციონი ცხადდება დასრულებულად ვადისამოწურვისთანავე. თუ ნებისმიერი მონაწილის მიერ „ფასისდადება“ მოხდა ინტერნეტაუქციონის ვადის ამოწურვამდედარჩენილი ორი წუთის განმავლობაში, ინტერნეტაუქციონისვადა ხანგრძლივდება ორი წუთით და ასე გაგრძელდებავაჭრობის დასრულებამდე.

10. ინტერნეტაუქციონის დასრულების შემდგომ სისტემაგამარჯვებული მომხმარებლის ელექტრონულ ფოსტაზე დამოხილური ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია ვებგვერდზე, აგზავნის შესაბამის შეტყობინებას აუქციონისა და ლოტის ნომრის მითითებით.

11. ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულს მის მიერ გადახდილი ბეჩათვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

12. ინტერნეტაუქციონში დამარცხებულს ბე, საბანკოპლასტიკური ბარათით გადახდის შემთხვევაში, დაუბრუნდებაინტერნეტაუქციონის ჩატარების დღიდან არაუგვიანეს 5 საბანკოდღის ვადაში იმ საბარათე ანგარიშზე, საიდანაც მოხდა ბეს გადახდა, ხოლო [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს ერთიანი ანგარიშსწორებისსერვისით სარგებლობისას, ინტერნეტაუქციონში დამარცხებულს ბე უბრუნდება ავტომატურად, ინტერნეტაუქციონის შედეგების დადგომისთანავე, მის მიერ გადახდის დროს მითითებულანგარიშზე, ან სს „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში,პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

## **მუხლი 6. სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონებისლიზინგის ფორმით სარგებლობაში გადაცემა**

1. სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების ლიზინგისფორმით სარგებლობაში გადაცემის დროს, ინტერნეტაუქციონშიგამარჯვებულ პირს ქონება გადაეცემა სარგებლობაშიგანსაზღვრული ვადით, საზღაურის სანაცვლოდ, მისი შესყიდვისუფლებით.

2. ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის დღიდან,არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში, სააგენტოსა და ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულს შორის ფორმდებახელშეკრულება სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონებისლიზინგის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, რომლისსაფუძველზეც მხარეები თანხმდებიან შესაბამის პირობებზე.

## **მუხლი 7. ინტერნეტმაღაზია**

1. ინტერნეტმაღაზიის მომსახურებით სარგებლობისთვისმომხმარებელმა საჭიროა გაიაროს ავტორიზაცია.

2. მომხმარებელს ინტერნეტმაღაზიის მეშვეობით შეუძლიამხოლოდ იმ ქონების შეძენა, რომელსაც მითითებული აქვსსიმბოლო .

3. სასურველი ქონების და სასურველი რაოდენობის ამორჩევისშემდეგ მომხმარებელის მიერ გადახდის ღირებულებაზე ხელისდაჭერის შემთხვევაში სისტემა გადაიყვანს მას გადახდისგვერდზე.

4. ინტერნეტ—მაღაზიის საშუალებით ქონების შემძენი ხდება ისპირი, ვინც ყველაზე ადრე გადაიხდის ქონების ღირებულებას.

## **მუხლი 8. [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) -ს მობილური აპლიკაციით სარგებლობის წესი და პირობები:**

1. **www.eauction.ge**-ს მობილურ ვერსიით - მობილური აპლიკაციის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ქონების შეძენა ინტერნეტაუქციონის/ინტერნეტმაღაზიის გზით.

**www.eauction.ge** -ს მობილური აპლიკაციით, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მობილური ტელეფონის მეშვეობით გამოიყენოს ვებგვერდის ძირითადი მოდულები: რეგისტრაცია, ავტორიზაცია, გადახდები და ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება; განახორცილოს მიმდინარე და დასრულებული ლოტებისძიება შემდეგი პარამეტრებით: ლოტის დასახელებით და განაცხადის ნომრით; გაფილტროს ქონება: პარტნიორების, კატეგორიების, VIP, საუკეთესო შემოთავაზებების და ახალი დამატებული ლოტების, დასრულებამდე დარჩენილი დროის და ფასის მიხედვით.

2. სააგენტო **www.eauction.ge**-ს მობილური აპლიკაციის სარგებლობის დროს არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლის მობილური ტელეფონის გაუმართაობის ან ინტერნეტის წყვეტის გამო გამოწვეულ შესაძლო შედეგებზე.

### **მუხლი 9. მხარეთა უფლებამოსილება**

#### **1. სააგენტო უფლებამოსილია :**

ა) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ინტერნეტაუქციონშიმონაწილეობის მიღების წესი, ინტერნეტ-მაღაზიის მეშვეობითქონების შეძენის წესი ან სხვა პირობები ნებისმიერ დროს. ამცვლილებას/ცვლილებებს ძალა ექნება მას შემდეგ, რაც ისინიგანთავსდება ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის,რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონომოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო,რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან თვითონსააგენტოს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომხმარებლის რეგისტრაცია და შესვლავებგვედზე თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი არასწორადმოქმედებს;

დ) გააკონტროლოს ყველა მოქმედება მომხმარებლის მხრიდან დარაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისიზომები.

#### **2. სააგენტო ვალდებულია :**

ა) ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულს და ინტერნეტმაღაზიისმეშვეობით ქონების შეძენის, შესაბამისი თანხის გადახდისშემდეგ, ხოლო ლიზინგის ფორმით სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების სარგებლობაში მიმღებს, ხელშეკრულებისპირობების შესაბამისად, გადასცეს ქონება;

ბ) დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

#### **3. მომხმარებელი უფლებამოსილია :**

ა) გააკეთოს არჩევანი და შეიძინოს/ლიზინგის ფორმითსარგებლობაში მიიღოს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულიქონება და/ან შეიძინოს სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონება;

ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.

#### **4. მომხმარებელი ვალდებულია :**

- ა) დაიცვას ხელშეკრულების პირობები;
- ბ) სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ანაზღაუროს ქონებისღირებულება;
- გ) სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შეძენილიქონების მიღება;
- დ) მომხმარებელს არ აქვს უფლება ფასების ხელოვნურადგაზრდის მიზნით მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში.

#### **მუხლი . 10 ანგარიშსწორება**

1. ელექტრონული აუქციონების სისტემა [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ზე შესაძლებელია ქონების შეძენა/სარგებლობის უფლების მიღება სხვადასხვა ანგარიშსწორების მეთოდების გამოყენებით, კერძოდ:

- ა) ნაღდი ანგარიშსწორების სისტემით გადახდის მეთოდი (ბილინგი);
- ბ) პლასტიკური ბარათით გადახდის მეთოდი;
- გ) **eMoney** -ელექტრონული საფულით გადახდის მეთოდი;
- დ) ელექტრონული საბანკო გადარიცხვით გადახდის მეთოდი(ინტერნეტ ბანკინგი);
- ე) ელექტრონული საბანკო გარანტიით გადახდის მეთოდი;
- ვ) ელექტრონული განვადებით ნივთის შეძენის მეთოდი.

#### **მუხლი 11. გადახდის მეთოდები:**

##### **1. ნაღდი ანგარიშსწორების სისტემით გადახდის მეთოდი(ბილინგი):**

- ა) მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბეს/დარჩენილიღირებულების სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში ნაღდი ფულით გადახდა, რომელიც ავტომატურად აისახებაელექტრონული აუქციონის სისტემაში.
- ბ) გადახდის განსახორციელებლად მომხმარებელმა ბანკშიუნდა წარადგინოს ვებ-გვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) რეგისტრაციის დროს მითითებული მონაცემები (ფიზიკური/იურიდიული პირის დასახელება; პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი) და ლოტის განაცხადის ნომერი.
- გ) ბეს გადახდის შემთხვევაში თანხა დროებით ირიცხება მომსახურების სააგენტოს სატრანზიტო ანგარიშზე, რომლის დანიშნულებაა ინტერნეტაუქციონზე შეტანილი თანხების ვებგვერდზე ასახვა.
- დ) მას შემდეგ, რაც [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს სისტემა, შესაბამისი სერვისის მეშვეობით, აცნობებს სს „ლიბერთი ბანკს“ იმ აუქციონის შედეგებს, რომლებზეც სს „ლიბერთი ბანკის“ საგადახდო სისტემით იყო გადახდა განხორციელებული:



1) აუქციონში გამარჯვებული მონაწილეების ბეს/დარჩენილი ღირებულების თანხები ავტომატურად გადაირიცხებასააგენტოს ანგარიშზე.

2) აუქციონში დამარცხებულ ფიზიკურ/იურიდიულ პირებს საგარანტიო თანხები უბრუნდებათ პირად მონაცემებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს პირად მონაცემებში დამატებული არ აქვს საკუთარი ანგარიშის ნომერი, შესაძლებელია სს „ლიბერთი ბანკიდან“ თანხის ხელზე გატანა.

ე) აღნიშნული გადახდის ფორმით სარგებლობის საკომისიოს განსაზღვრავს ლიბერთი ბანკი.

ვ) სხვა ბანკების მეშვეობით სააგენტოს სატრანზიტო ანგარიშზე ჩარიცხული ბეს/დარჩენილი ღირებულების თანხები ან პირდაპირ სააგენტოს ანგარიშზე გადახდილი თანხები არაისახება ავტომატურად ელექტრონული აუქციონების სისტემაში. ამიტომ მომხმარებელი ვალდებულია გადახდის ქვითარი წარადგინოს სააგენტოში, ხოლო თანხის უკან დასაბრუნებლად განცხადებით მიმართოს სააგენტოს.

## **2. პლასტიკური ბარათით გადახდის მეთოდი:**

ა) მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბეს/დარჩენილი თანხის ელექტრონული გადახდის ფორმა.

ბ) პლასტიკური ბარათით გადახდის არჩევს შემთხვევაში, მომხმარებელი გადახდის პლასტიკური ბარათის საგადახდოს სისტემაში, სადაც ავსებს პლასტიკური ბარათის მონაცემებს დაახორციელებს გადახდას.

გ) ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, მომხმარებელი ავტომატურად მოიპოვებს ლოტზე აუქციონში მონაწილეობის უფლებას, ხოლო ბეს თანხა აუქციონის დასრულებამდე დაბლოკილი იქნება მის ანგარიშზე.

დ) მას შემდეგ, რაც [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს სისტემის შესაბამისი სერვისის მეშვეობით აუქციონის შედეგები ეცნობება ბანკს, რომლის საგადახდო სისტემითაც განახორციელა მომხმარებელმა თანხის გადახდა:

1. გამარჯვებულ მომხმარებელს ბეს თანხა ავტომატურად ჩამოეჭრება.

2. დამარცხებულ მომხმარებელს ბეს თანხა ავტომატურად განებლოკება.

ე) თანხის ელექტრონულად გადახდის შემთხვევაში, მომხმარებლის საბარათე ანგარიშზე უნდა გააჩნდეს თანხა იმ ოდენობით, რომ დაიფაროს ბეს/დარჩენილი ღირებულების თანხადა ასევე ბანკის საკომისიო, რომელიც მითითებულია გადახდის პროცედურის დროს.

ვ) აღნიშნული საკომისიო მომხმარებელს ანგარიშიდან ჩამოეჭრება მხოლოდ აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, ხოლო აუქციონში დამარცხების შემთხვევაში, ჩამოეჭრება ბანკის მიერ დადგენილი თანხის განბლოკვის საკომისიო.

## **3. eMoney ელექტრონული საფულით გადახდის მეთოდი:**

ა) მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბეს/დარჩენილი ღირებულების გადახდა **eMoney**-ს ელექტრონული საფულის მეშვეობით.



ბ) [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს სისტემა ავტომატურად უზრუნველყოფს **eMoney**-ს ანგარიშის გახსნას უკვე არსებული და ახლად დარეგისტრირებული ყოველი მომხმარებლისათვის.

გ) **eMoney**-ს გადახის სისტემის არჩევის შემთხვევაში მომხმარებელი გადადის **eMoney** -ს საგადახდო სისტემაში, სადაც ახორციელებს გადახდას.

დ) ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, მომხმარებელი მოიპოვებს კონკრეტულ ლოტზე აუქციონში მონაწილეობის უფლებას, ხოლო ბეს თანხა აუქციონის დასრულებამდე დაბლოკილი იქნება მის **eMoney** -ს ანგარიშზე.

ე) მას შემდეგ, რაც [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს სისტემა შესაბამისი სერვისის მეშვეობით აცნობებს **eMoney**-ს იმ აუქციონის შედეგებს, რომლებზეც **eMoney**-ს საგადახდო სისტემით იყო გადახდა განხორციელებული:

1) აუქციონში გამარჯვებული მონაწილის ბეს/დარჩენილი ღირებულების თანხები ავტომატურად გადარიცხება სააგენტოს ანგარიშზე **eMoney**-ს მიერ დაწესებული ვადების განმავლობაში.

2) მომხმარებელს, აუქციონში დამარცხების შემთხვევაში, გადახდილი ბეს თანხა ავტომატურად განებლოკება.

3) ბეს/დარჩენილი ღირებულების თანხის ელექტრონულად გადახდის შემთხვევაში, მომხმარებლის საბარათე ანგარიშზე უნდა გააჩნდეს თანხა იმ ოდენობით, რომ დაიფაროს ბე/დარჩენილი ღირებულების თანხა და ასევე ბანკის საკომისიო, **eMoney**-ის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

#### 4. ელექტრონული საბანკო გადარიცხვით გადახდის მეთოდი (ინტერნეტ ბანკინგი):

ა) მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბეს/დარჩენილი ღირებულების გადახდა ელექტრონული საბანკო გადარიცხვის სისტემის (ინტერნეტ ბანკინგის) გამოყენებით.

ბ) აღნიშნული მეთოდით თანხის გადარიცხვის შემთხვევაში, რეკომენდირებულია საგარანტიო თანხის გადარიცხვა განხორციელდეს აუქციონის დასრულებამდე არაუგვიანეს 28 საათისა. გადარიცხვის განხორციელების შემდეგ მომხმარებელმა სასურველია დარეკოს მომსახურების სააგენტოს ცხელ-ხაზზე (სამუშაო საათები 10:00-19:00, შაბათ-კვირის გარდა), რათა გადამოწმდეს თანხის ჩარიცხვა.

გ) გადარიცხვა ხორციელდება შემდგენიარად: ლოტზე წარმოდგენილი ჩანართიდან "დანიშნულება" წარმოდგენილი ჩანაწერი სრული სიზუსტით უნდა მოინიშნოს და იგივე სიზუსტით ჩაიწეროს უნაღდო გადარიცხვის დანიშნულებაში.

დ) მას შემდეგ, რაც დასრულდება აუქციონი:

1) აუქციონში გამარჯვებული მონაწილის ბეს/დარჩენილი ღირებულების თანხები ავტომატურად გადარიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

2) აუქციონში დამარცხებულ ფიზიკურ/იურიდიულ პირებს ბეს თანხები დაუბრუნდებათ უკან გადარიცხვის დროს გამოყენებულ საბანკო ანგარიშზე.

## 5. ელექტრონული საბანკო გარანტიით გადახდის მეთოდი

ა) ელექტრონული საბანკო გარანტიის გააქტიურება შესაძლებელია იმ ლოტებზე, რომლებზეც მითითებულია ელექტრონული საბანკო გარანტიის ვადა.

ბ) რეგისტრირებული მომხმარებელი, კონკრეტული საბანკო გარანტიის მიღების მიზნით, მიდის შესაბამის დაწესებულებაში. საბანკო გარანტიის მიღების შემთხვევაში, მომხმარებელი შედის სასურველ ლოტში, ირჩევს საგარანტიო თანხის გადახდას, აჭერს ლილაკს – "აქტივაცია", ავსებს საბანკო გარანტიის ველს, კერძოდ შეყავს ბანკში გაცემული ელექტრონული საბანკო გარანტიის რეგისტრაციის ნომერი და PIN კოდი, რის შემდეგაც მომხმარებელი ავტომატურად შეძლებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას.

გ) მას შემდეგ, რაც დასრულდება აუქციონი:

1) აუქციონში გამარჯვებული მომხმარებლის მიერ ვალდებულების (სრული ღირებულების) დაფარვის შემდეგ, ელექტრონული საბანკო გარანტია განიბლოკება. დამარცხებულ მომხმარებელს გაუუქმდება ელექტრონული საბანკო გარანტია.

## 6. ელექტრონული განვადებით ნივთის შეძენის მეთოდი

ა) ლოტის გვერდზე, რომლის ღირებულება აღემატება 150 ლარს და რომელზეც დაწესებულია ბეს თანხა, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დარჩენილი ღირებულების გადახდა ელექტრონული განვადების მეშვეობით.

ბ) განვადებით ქონების შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელი გადაამისამართდება სს „ლიბერთი ბანკის“ ონლაინ განვადების გვერდზე, სადაც ავსებს განაცხადს და უთითებს ლოტისთვის შესაძენი ღირებულების სავარაუდო თანხას.

გ) განაცხადის შევსების შემდეგ, მოხმარებელს უკავშირდება ბანკის თანამშრომელი, რომელიც აცნობებს ბანკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას განვადების დამტკიცების/არ დამტკიცების შესახებ.

დ) გამარჯვების შემთხვევაში, იმ მომხმარებელთან, რომელსაც დაუმტკიცდა ელექტრონული განვადება, ბანკი აფორმებს ხელშეკრულებას და ინტერნეტ აუქციონის დასრულებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში სააგენტოს ანგარიშზე იცხავს ლოტის სრულ ღირებულებას.

ე) იმ შემთხვევაში, თუ თანხა არ იქნება ასახული სისტემაში, აღნიშნული მომხმარებელს არ ჩაეთვლება გადახდაში, ხოლო სააგენტო იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ვ) თანხების ნებისმიერ ტრანზაქციასთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებზე პასუხისმგებელია ბანკი.

## 12. ქონების საფასურის გადახდის ვადა

### 1. ინტერნეტ აუქციონი

ა) ინტერნეტ აუქციონში გამარჯვებულმა ქონების საფასური უნდა გადაიხადოს ინტერნეტ აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. აღნიშნული ვადის დარღვევის

შემთხვევაში, ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული კარგავს ყოველგვარ უფლებას აღნიშნული ქონების შეძენაზე და გადახდილი ბე (უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიისთანხა) უკან არ უბრუნდება.

ბ) ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ ქონების ინტერნეტაუქციონის ფორმით რეალიზების/პრივატიზების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, შესაძლებელია განისაზღვროს ქონების საფასურის გადახდის უფრო ხანგრძლივი ვადა (რაც მითითებული იქნება სააუქციონო განაცხადში).

გ) სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების ლიზინგისფორმით სარგებლობაში მიღების შემთხვევაში, ლიზინგის საგნისშესყიდვის მთლიანი ღირებულება და სარგებლობის თანხა, ასევეთანხის გადახდის ვადები განისაზღვრება სააგენტოსა და ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულს შორის გაფორმებულხელშეკრულებით.

დ) ქონების შეძენის შემთხვევაში, ქონებაზე საკუთრების უფლებისმოპოვება ხდება მხოლოდ თანხის სრულად გადახდის და ქონებისმიღების (პირგასამტეხლოს არსებობის შემთხვევაში, მისი გადახდის) შემდეგ.

ე) სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოითხოვოს აუქციონში გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## **2 . ინტერნეტმაღაზია :**

ა) ინტერნეტმაღაზიის მეშვეობით ქონების შეძენის შემთხვევაში, ანგარიშსწორება ხორციელდება მხოლოდ საბანკო პლასტიკურიბარათით ვებგვერდიდან.

ბ) გადახდის ღირებულებაზე ხელის დაჭერის შემდეგ, მომხმარებლისმიერ არჩეული ქონება იჯავშნება 10 წუთით, რომლისგანმავლობაშიც მომხმარებელი ვალდებულია მოახდინოსქონების მთლიანი ღირებულების გადახდა. თუ გადახდა არგანხორციელდა 10 წუთის განმავლობაში, ჯავშანი იხსნება დაქონება ბრუნდება ინტერნეტმაღაზიაში შემდგომი რეალიზაციისმიზნით.

გ) წარმატებული გადახდის შემდეგ, მომხმარებელს შეუძლიამიუთითოს, თუ სად და როდის სურს მას შეძენილი ქონებისმიღება იმ შემთხვევაში, თუ ქონება ექვემდებარება ადგილზემიტანის სერვისს.

## **მუხლი 13. ქონების მიღება**

### **1.ინტერნეტაუქციონის მეშვეობით ქონების შეძენისის შემთხვევაში:**

ა) ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული ვალდებულია თანხისგადახდიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაშისაკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ქონების გატანა მისი განთავსების ადგილიდან (თუ არ სარგებლობს „ქონების ადგილზე მიტანის“ სერვისით).

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველს, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა ქონების გატანისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა დაუწესდება პირგასამტეხლოს ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შესაბამისი ლოტის სრული სარეალიზაციო/საპრივატიზებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ჯამში არანაკლებ 1 ლარისა.

გ) ქონების სპეციფიკისა და განთავსების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ ქონების ინტერნეტაუქციონის ფორმით რეალიზების/პრივატიზების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, შესაძლებელია განისაზღვროს ქონების გატანის უფრო ხანგრძლივი ვადა (რაც მითითებული იქნება სააუქციონო გაანაცხადში).

დ) თუ მყიდველი დამატებითი ვადის განმავლობაში არ უზრუნველყოფს ქონების გატანას, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის თაობაზე; ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევისთვის დადგენილი ნორმებით. ინტერნეტაუქციონის ფორმით ქონების რეალიზაციისას, ხელშეკრულება ცალმხრივად მოიშლება ავტომატურად, დამატებითი შეტყობინების გარეშე.

## **2 . ინტერნეტმაღაზიის მეშვეობით ქონების შეძენისის შემთხვევაში:**

ა) ინტერნეტმაღაზიის მეშვეობით ქონების შეძენისას, მყიდველი ვალდებულია არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში გაიტანოს ეს ქონება, იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებაზე არვრცელდება „ადგილზე მიტანის“ მომსახურება. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი კარგავს უფლებას ქონებაზე და მხარეთა შორის ხელშეკრულება მოიშლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეძენილ ქონებაზე ვრცელდება „ადგილზე მიტანის“ მომსახურება, მყიდველმა ვებგვერდზე უნდა შეავსოს ადგილზე მიტანის განაცხადი და 24 საათის განმავლობაში მიიღებს შეძენილ ქონებას.

## **3. სხვა პირობები ინტერნეტაუქციონთან დაკავშირებით:**

ა) სააგენტოს მიერ ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულისთვის ქონების გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა და/ან უფლებამოსილ პირთა ხელმოწერებით.

ბ) სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების ლიზინგის ფორმით სარგებლობაში მიღების შემთხვევაში, ქონების მიწოდების ვადა და ადგილი განისაზღვრება სააგენტოსა და ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებით.

გ) ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულს უფლება აქვს ქონების მიღებამდე მოითხოვოს მისი შემოწმება, რისთვისაც ის თავისი ხარჯით მოიწვევს უფლებამოსილ ექსპერტს. თუ მყიდველი არგამოიყენებს აღნიშნულ უფლებას, ითვლება, რომ ქონება უნაკლოა და შეესაბამება გამოცხადებულ პარამეტრებს, რაოდენობას და ხარისხს.

დ) სააგენტოს მიერ ქონების გადაცემის ვალდებულება ითვლება შესრულებულად ინტერნეტაუქციონის ფორმით ქონების შეძენის/ინტერნეტმაღაზიის მეშვეობით ქონების მყიდველის განკარგულებაში გადაცემის შემდეგ, ინტერნეტაუქციონის შემთხვევაში, სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების მომენტიდან.

ე) რეალიზებული/პრივატიზებული და გადაცემული (გარდა ლიზინგის ფორმით სარგებლობაში გადაცემისა) ქონება არ შეიძლება დაუბრუნდეს სააგენტოს.

## **მუხლი 14. მხარეთა პასუხისმგებლობა**

1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით აღებულივალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულმა უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში შეძენილ ნებისმიერ ქონებასთან/ქონების ერთობლიობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს წინაშე წარმოშობილი შესაძლო საგადასახადო ან/და სხვა სახის ვალდებულებები.

### **მუხლი 15 . კონფიდენციალურობა**

1. მომხმარებელი პასუხს აგებს მისი სახელით და არჩეულიპაროლით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

2. აკრძალულია ხელშეკრულების მე-3 მუხლში მოცემულიპარამეტრების გაყალბება, რაც ექვემდებარება პასუხისმგებლობასმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მომხმარებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაციათავისი პაროლის შესახებ. თუ სხვადასხვა მიზეზის გამო პაროლიცნობილი გახდება სხვა პირისთვის, მომხმარებელმა ის უნდაშეცვალოს.

### **მუხლი 16 . მოქმედი კანონმდებლობა**

1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებზემოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა.

2. ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვასმხარეთა შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით,წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

### **მუხლი 17 . დამატებითი პირობები**

1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ათვლა ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. ისეთი სახეობის ქონების შეძენის შემთხვევაში, რომლისრეგისტრაციაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,სავალდებულოა შესაბამის მარეგისტრირებელ სამსახურში, ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ქონების რეგისტრაცია საქართველოსკანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტაუქციონზე შეძენილი ქონებისგატანა ხდება ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ინტერნეტაუქციონშიგამარჯვებულს ეკისრება პასუხისმგებლობა შესაბამისი საბაჟოპროცედურების განხორციელებაზე.

4. მომხმარებლისთვის ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებახორციელდება მის ელექტრონულ მისამართზე ან მობილურიტელეფონის ნომერზე შეტყობინების გაგზავნის სახით, რაცჩაითვლება ინფორმაციის ოფიციალურ შეტყობინებად.